პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს

გადაწყვეტილება № 142

2019წ. "30" 07

ქ. თბილისი

შპს საზღვაო სასწავლო საწვრთნელი ცენტრი ეკვატორის ავტორიზაციის შესახებ

დაწესებულების მიერ თვითშეფასების კითხვარში ასახული ინფორმაციის, ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნისა და პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომაზე დაინტერესებული მხარის მიერ დაფიქსირებული პოზიციის შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-12 მუხლის, ,,პროფესიული განათლების შესახებ კანონის'' 39-ე მუხლის 1^1 პუნქტის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული ,,საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 24-ე მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და 25-ე მუხლის პირველი, მე-3, მე-4 და მე-5 პუნქტების შესაბამისად,

საბჭომ გადაწყვიტა:

1. შპს საზღვაო სასწავლო საწვრთნელ ცენტრ ეკვატორს (საიდენტიფიკაციო კოდი: 245624819) 6 წლის ვადით მიენიჭოს პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების/კოლეჯის სტატუსი და პროფესიულ სტუდენტთა ადგილების ზღვრული რაოდენობა განესაზღვროს 175- ით.
2. შპს საზღვაო სასწავლო საწვრთნელ ცენტრ ეკვატორს მიენიჭოს უფლებამოსილება განახორციელოს დანართით გათვალისწინებული საგანმანათლებლო პროგრამები.
3. გადაწყვეტილების ძალაში შესვლის თარიღად განისაზღვროს 2019 წლის 30 აგვისტო.

4. პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2019 წლის 30 ივლისის №11 სხდომის ოქმის მეშვიდე ნაწილი ცნობილ იქნეს ამ გადაწყვეტილების განუყოფელ ნაწილად.

5. პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს გადაწყვეტილების გასაჩივრება შესაძლებელია მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში, სააპელაციო საჩივრის სააპელაციო საბჭოში წარდგენის გზით შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, მ. ალექსიძის ქ. №1 ან ქ. თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში სარჩელის შეტანის გზით შემდეგ მისამართზე, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კილომეტრი №6.

თავმჯდომარე
თამარ ქიტიაშვილი

მდივანი
ლელა მაისურაძე

დანართი

საგანმანათლებლო პროგრამები

№	პროგრამის დასახელება	პროფესიული განათლების დონე / საფეხური	მისანიჭებელი პროფესიული კვალიფიკაცია კოდის მითითებით	კრედიტების რაოდენობა ქართულენოვანი სტუდენტები სათვის	კრედიტების რაოდენობა არაქართულენოვანი სტუდენტები სათვის	სწავლების ენა	ადგილების ზღვრული რაოდენობა	პროგრამის განხორციელების მისამართი / მისამართები
1	გემბანის რიგითი მეზღვაური (1)	მესამე დონე	საბაზო პროფესიული კვალიფიკაცია საგემბანე განყოფილების ექსპლუატაციაში 1041	91	106	ქართული	80	ქ. ბათუმი, შავშეთის ქ. N29 ქ. ბათუმი, ბათუმგორის ჩიხი N2
2	სამანქანე განყოფილების რიგითი მეზღვაური (1)	მესამე დონე	საბაზო პროფესიული კვალიფიკაცია გემის სამანქანე განყოფილების ექსპლუატაციაში 1041	87	102	ქართული	60	ქ. ბათუმი, შავშეთის ქ. N29 ქ. ბათუმი, ბათუმგორის ჩიხი N2

(1) - აღნიშნავს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის (პროფესიული საგანმანათლებლო სტანდარტის) საფუძველზე შემუშავებულ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამას;

(2) - აღნიშნავს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის (პროფესიული საგანმანათლებლო სტანდარტის) საფუძველზე შემუშავებულ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამას, რომლის სავალდებულო პროფესიული მოდულებით გათვალისწინებული სწავლის შედეგებისათვის გამოყოფილი კრედიტების საერთო მოცულობის 50% ან მეტი მიიღწევა რეალურ სამუშაო გარემოში (დუალური).

ინფორმაცია მხოლოდ პროფესიული სტანდარტის საფუძველზე შექმნილ პროფესიული პროგრამების შესახებ, რომლებსაც დაწესებულება განახორციელებს უკვე ჩარიცხული პროფესიული სტუდენტებისათვის, მილევად რეჟიმში, პროფესიული განათლების შესახებ საქართველოს კანონის საფუძველზე

№	პროგრამის დასახელება	პროფესიული განათლების დონე / საფეხური	მისანიჭებელი პროფესიული კვალიფიკაცია კოდის მითითებით	კრედიტების რაოდენობა	სწავლების ენა	სტუდენტთა ფაქტობრივი რაოდენობა	პროგრამის განხორციელების მისამართი / მისამართები
1	გემბანის რიგითი მეზღვაურის მესამე საფეხურის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა	მესამე საფეხური	გემბანის რიგითი მეზღვაურის მესამე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია 111051	60	ქართული	35	ქ. ბათუმი, შავშეთის ქ. N29 ქ. ბათუმი, ბათუმგორის ჩიხი N2